<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთისთვის, ოთხი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთს, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთს (მესხეთის ქუჩის მონაკვეთი, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად), ოთხ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


1:2,000
სიმონ ვლდიაშვილის ქ
X=487259 Y=4615920
X=487486 Y=4615900
I შეს.
X=4487519 Y=4615851
X=487371 Y=4615847
X=487635 Y=4615835
X=487468 Y=4615835
I ჩიხი
II შეს.
სიმონ ვლდიაშვილის ქ
X=487526 Y=4615808
X=487480 Y=4615798
III შეს
X=487541 Y=4615766
IV შეს
X=487457 Y=4615745
X=487567 Y=4615728

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ისნის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
ISANI DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **36-0120164157**
თარიღი: **12/06/2020**
პინი: **3775**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობაში შემოსულია მოქალაქე გიორგი ჭიოკაძის განცხადება (N19/01201623128-36, 10.06.2020წ.), რომლითაც ითხოვენ ნავთლუღის დას. VIII შესახვევის მაცხოვრებლები ითხოვენ აღნიშნული შესახვევისთვის სახელის გადარქმევას.

გთხოვთ, კუთვნილებისამებრ განიხილოთ აღნიშნული საკითხი.

დანართი: 9 ფურცელი.

პატივისცემით,

კახაბერი ლაბუჩიძე

ისნის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ოსნის რაიონის გამგებელს
ბატონ კახაბერ ლაბუჩიძეს

მიე: [illegible]
მის: [illegible]
ტელეფონი: [illegible]
პირადი N: [illegible]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible]

ხელმოწერა: [illegible]
თარიღი: [illegible] 2020

1. [illegible] [illegible]-[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
01011050657; T. [illegible] [illegible]

2. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
01011050660; T. 2 78 86 80

3. [illegible] [illegible]; [illegible] [illegible] [illegible]
01011092874; T 571 99 45 37 - [illegible]

4. [illegible] [illegible]; [illegible] [illegible] [illegible]
01011085202; T 571 90 07 21 - [illegible]

5. [illegible] [illegible]; [illegible] [illegible] [illegible]
01011086963; T 574 98 38 80 - [illegible]

6. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
01011092829; T. 568 510 560 - [illegible]

7. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
01011097366, 2 78 86 80 - [illegible]

8. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
01030033385 - [illegible]

9. [illegible] [illegible]; [illegible]
[illegible]; T [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

43. [illegible] Subgerente, 1 [illegible]

[illegible] T. [illegible]

44. [illegible] operador, 1 [illegible]

[illegible] T. [illegible]

45. Subdirector operación, 1 [illegible]

[illegible] T. [illegible]

46. [illegible] operador, 1 [illegible]

[illegible] T. [illegible]

47. Subdirector [illegible], 1 [illegible]

[illegible] T. [illegible] dolm

48. [illegible]	[illegible]	[illegible]
49. [illegible]	[illegible]	[illegible]
50. [illegible]	[illegible]	[illegible]
51. [illegible]	[illegible]	[illegible]
52. [illegible]	[illegible]	[illegible]
53. [illegible]	[illegible]	[illegible]
54. [illegible]	[illegible]	[illegible]
55. [illegible]	[illegible]	[illegible]
56. [illegible]	[illegible]	0100528730
57. [illegible]	[illegible]	0101028468
58. [illegible]	[illegible]	0101060419
59. [illegible]	[illegible]	0101015572
60. [illegible]	[illegible]	0101062219
61. [illegible]	[illegible]	[illegible]
62. [illegible]	[illegible]	0101061517
63. [illegible]	[illegible]	0100104800

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

MES 0 19 00019597

10/01/2019

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

უპირველეს ყოვლისა გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს. ასევე, დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმ ყურადღებისთვის, რომელიც გამოიჩინეთ ცნობილი მეცნიერის ილია აბულაძის ხსოვნის უკვდავყოფის კუთხით, რაც გამოიხატა მისი სახელის თბილისის ერთ-ერთი მოედნისთვის მინიჭებაში. საქართველოსა და ჩვენი კულტურისთვის მოამაგე ცნობილ (და ზოგჯერ მივიწყებულ) მოღვაწეთა სახელების მინიჭება თბილისის ამა თუ იმ ქუჩისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, არა მარტო ამ მოღვაწეების შრომის და ღვაწლის დაფასების, არამედ ჩვენს ახალგაზრდა თაობაში მათი სახელების არდავიწყების თვალსაზრისით.
ამ საქმის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე გთხოვთ თბილისის საკრებულომ განიხილოს ცნობილი ქართველი მოღვაწეების: ისტორიკოს-ფილოლოგის და საზოგადო მოღვაწის სერგი გორგაძის, პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორის (თსუ შენობის პროექტის ავტორის) და საზოგადო მოღვაწის სიმონ კლდიაშვილის და ცნობილი ხელნაწერთმცოდნის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელების თბილისის ქუჩებისთვის მინიჭების საკითხი. ამასთან გაახლებთ ამ მოღვაწეების მოკლე ბიოგრაფიებს (იხ. დანართი).

წინასწარ გიხდით მადლობას,

ღრმა პატივისცემით,

ზაალ აბაშიძე
დირექტორი
სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №13
0193 Tbilisi, M. Alexidze st. №13
ტელ./Tel. (995 32) 247-12-12
ფაქსი/Fax (995 32) 236-12-13
www.nplg.gov.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 5642/01-03-33

5642-01-03-33-2
202007201137

20/07/2020

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

2020 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის) ხუროთმოძღვრის, საზოგადო მოღვაწისა და ქართული კულტურის მკვლევრის სვიმონ კლდიაშვილის (1865–1920) დაბადებიდან 155, გარდაცვალებიდან კი – 100 წელი შესრულდა.

სვიმონ კლდიაშვილის არქიტექტურული პროექტების დიდი ნაწილი ქალაქ თბილისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განხორციელდა, რაც მაშინდელი თბილისის განაშენიანებისა და იერსახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ.

სვიმონ კლდიაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების ქართული კულტურის კვლევაშიც. მისი სახელი დაკავშირებულია ექვთიმე თაყაიშვილის 1902 წლის (ტაო–კლარჯეთის) და 1910 წლის (სვანეთის) სამეცნიერო ექსპედიციებთან, მის მიერ შესრულებული ჩანახატები და ნახაზები, რომლებიც დაცულია სხვადასხვა მუზეუმსა და ხელნაწერთა ცენტრში, დღესაც მნიშვნელოვან მეცნიერულ ფასეულობას წარმოადგენს.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოგმართავთ წინადადებით, სვიმონ

[illegible] +995 32 223 02 41 Tel
[illegible] +995 32 223 51 07 Fax
[illegible] rector@tsu.ge chancellery@tsu.ge E-mail

კლდიაშვილის ღვაწლის უკვდავსაყოფად, დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას სვიმონ კლდიაშვილის სახელი მიანიჭოთ.

პატივისცემით,

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიმონ კლდიაშვილი (1865-1920) პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის სახელგანთქმული ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების ინსტიტუტი. 1896-1899 წწ. მუშაობდა ქ. სოხუმის მთავარ არქიტექტორად. 1899 წელს შეადგინა ახლანდელი თსუ I კორპუსის (იმჟამად ქართული გიმნაზიის) შენობის პროექტი და 1906 წლამდე პირადად ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას. 1902 წელს მისი პროექტით კაპიტალურად გადაკეთდა ე.წ. ქობულაშვილების სახლი, რომელშიც ამჟამად განთავსებულია თბილისის სამხატვრო აკადემია. მის მიერვე შეიმკო ამ შენობის ფასადი. თბილისში მისი პროექტით აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დღეს კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ. ე. თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და რაჭა-ლეჩხუმში და აზომა ქართული ხუროთმოძღვრების 20-მდე ძეგლი, მათ შორის ბანა, რომლის რეკონსტრუქციის პროექტიც შეადგინა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

წერილის ნომერი: **03-032019593**
თარიღი: **13/07/2020**
პინი: **9506**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ურბანული განვითარების სამსახურს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის 2020 წლის 12 ივნისის საქმე #16-03201648-03 დაკავშირებით, რომლითაც ნავთლუღის დასახლების VIII შესახვევის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 11 (თერთმეტი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **67-0120197281**
თარიღი: **15/07/2020**
პინი: **5083**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.07.2020 წლის #03-032019593 (14.07.2020წ. #14-01201961714-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სიმონ კლდიაშვილი

(1865-1920)

პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი,1899 წელს შეადგინა თსუ I კორპ. (იმჟამინდელი ქართული გიმზანიის შენობის პროექტი) და პირადად ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას.

სიმონ კლდიაშვილი დაიბადა რუსეთის არმიის პოლკოვნიკ გრიგოლ კლდიაშვილისა და მსახიობ ეფროსინე ყიფიანის ოჯახში. მისი ძმა იყო ქიმიკოსი ალექსანდრე კლდიაშვილი. 1895 წელს დაამთავრა ფერწერის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი მოსკოვში. 1896–99 წლებში ქალაქის არქიტექტორად მუშაობდა სოხუმში. 1899 წელს შეადგინა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის (ქართული გიმნაზიის – ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) შენობის პროექტი და 1906 წლამდე ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას.

1902 წელს კაპიტალურად გადააკეთა და ახლანდელი ფასადით შეამკო ქობულაშვილების სახლი ა. გრიბოედოვის ქუჩაზე (ახლანდელი თბილისის სამხატვრო აკადემია). ააშენა მრავალი საცხოვრებელი სახლი. მისი ნამუშვრები ეკლექტიზმის სტილის ტიპური ნიმუშია. გვხვდება რენესანსულ–ბაროკოული ფასადებიც. კლდიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქართულ კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა ისტორიული საქართველოს სამხრეთ რეგიონებში. აზომა 20–მდე ძეგლი, მათ შორის ადრინდელი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ–ერთი უმთავრესი ნიმუში ბანა და მისი რეკონსტრუქციის პროექტიც შეადგინა. 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა რაჭა–ლეჩხუმში.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. პანთეონში

2015 წლის 3 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გაიხსნა სვიმონ კლდიაშვილის ბიუსტი.